თბილისის არქიტექტურა

ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №5828545

ნომერი: AR1878117

თარიღი : 13.02.2022

გაცემის თარიღი : 02.03.2022

გაცნობის თარიღი : 02.03.2022

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, სოფელი დიღომი, ვეფხისტყაოსანის ქუჩა, N 43;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ირაკლი მაზიაშვილი პ/ნ 01024037393
- თბილისი ვაჟა-ფშაველას გამზ. N 15 ბ. 16

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2021 წლის 8 ნოემბრის №5674339 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2022 წლის 13 თებერვალს №AR1878117 განცხადებით მომართა ირაკლი მაზიაშვილმა და მოითხოვა სამსახურის 2021

წლის 8 ნოემბრის №5674339 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 2021 წლის 8 ნოემბრის №5674339 ბრძანებით შეთანხმდა №01.72.14.038.460 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე მრავალფუნქციური კომპლექსი/შენობის არქიტექტურული პროექტი. ხოლო, სამსახურის 2021 წლის 22 ნოემბრის №5694413 ბრძანებით გაიცა მშენებლობის ნებართვა და მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2021 წლის 22 ნოემბრიდან 2023 წლის 22 ნოემბრის ჩათვლით.
სამსახურის 2022 წლის 20 იანვრის №5768604 ბრძანებით გასწორდა ტექნიკური შეცდომა სამსახურის 2021 წლის 8 ნოემბრის №5674339 ბრძანებაში და აღნიშნული ბრძანებით შეთანხმებული მიწის ნაკვეთის გრუნტის ზედაპირის ცვლილების გეგმა ჩანაცვლდეს 2021 წლის 28 დეკემბრის №AR1870489 განცხადებაზე წარმოდგენილი მიწის ნაკვეთის გრუნტის ზედაპირის ცვლილების გეგმით.
წინამდებარე განცხადებით, განმცხადებელი ითხოვს სამსახურის 2021 წლის 8 ნოემბრის №5674339 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორებას, კერძოდ განმცხადებელს სურს ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებისგან დამოუკიდებლად, ცალკე 2 ღია ავტოსადგომის - 30.1 კვ.მ. ფართობის დაფიქსირება.
სამსახურმა, განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი გენ-გეგმა, +0.000 ნიშნულის გეგმა და ღია ავტოსადგომების ჯამური მაჩვენებელი შეადარა შეთანხმებულ გენ-გეგმას, +0.000 ნიშნულის გეგმას და დაადგინა, რომ გენ-გეგმაზე და +0.000 ნიშნულის გეგმაზე დაფიქსირებულია 2 ღია ავტოსადგომი საერთო ფართობით 30.1 კვ.მ. შესაბამისად, სამსახურის 2021 წლის 8 ნოემბრის №5674339 ბრძანებაში ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლებისგან დამოუკიდებლად, ცალკე ღია ავტოსადგომის ფართობად შესაძლებელია დაფიქსირდეს - 30.1 კვ.მ. ამასთან გენ-გეგმა და +0.000 ნიშნულის გეგმა არ იცვლება, ხდება მხოლოდ ორ ღია ავტოსადგომზე ფართობის დაფიქსირება.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ადმინისტრაციულ აქტში გაასწოროს ტექნიკური, აგრეთვე გამოთვლის დროს დაშვებული შეცდომები.
შესაბამისად, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია განმცხადებლის მოთხოვნის დაკმაყოფილება, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2021 წლის 8 ნოემბრის №5674339 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად,
ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:
1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2021 წლის 8 ნოემბრის №5674339 ბრძანებაში და ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებისგან დამოუკიდებლად, ცალკე ღია ავტოსადგომის ფართობად დაფიქსირდეს 30.1 კვ.მ.
2. სამსახურის 2021 წლის 8 ნოემბრის №5674339 ბრძანებით შეთანხმებული გენ-გეგმა და +0.000 ნიშნულის გეგმა ჩანაცვლდეს წინამდებარე განცხადებაზე ფაილის მიმაგრების ველში წარმოდგენილი გენ-გეგმითა და ამავე ნიშნულის გასწორებული გეგმით.
3. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2021 წლის 8 ნოემბრის №5674339 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
4. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2021 წლის 8 ნოემბრის №5674339 და 2022 წლის 20 იანვრის №5768604 ბრძანებებთან ერთად.
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან, (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7) კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.